


ცხოვრება ღირსისა დედის
მარიამ ეგვიპტელისა

K 1817
10




თარგმანი მ. შარაძისი, მესამე გიმოცემა შირიძისა და ამხ. სტამბისა.

ტუილისი, 1898 წ.

სტამბა მ. შარაძის. იდ ამხ. ნიკ. ქუჩა. № 21.

ცხოვრება ღირსისა დედისა
მარიამ ეგვიპტელისა



თარგმანი მ. შარაძისა, მესამე გამოცემა შირაძისა და ამს. სტამბისა.

ტფილისი, 1898 წ.

სტამბა მ. შარაძის. აღ ამს. ნიკ. ქუჩა. № 21.

Дозвлено цензурою. Тифлисъ, 30-го марта 1899 года.

შინასიტყვაობა

სიკვდილს რომ სიცოცხლეც არ მოს-
დევდეს, ერთი დღეც არ ეღირებოდა
ქვეყანაზე გვეცხოვრა, თუნდ მთელის ქვე-
ყნის მჟყრობელიც რომ ვყოფილიყავით.

1817/2

გაგეგონებათ ერთ გვარს ცხოველზე ნათქვამი
ანდაზა; თავის საკბილოს ვერ შესწვდა და იძახოდა
პარასკევიაო. მეტად მშვენიერი ანდაზაა. ვნებათა ლ
გულის თქმათა ამყოლი კაცი სრულიადა ჰგავს ამ
ცხოველს. როცა აღამიანი ცოდვასა და ბოროტე-
ბაშია გართული, იგი მოწყვეტილია ღვთის მაღ-
ლისაგან, გონება ვერ უწვდება იცნას ის, ვისგანაც
არსებობა შიულია, და სინდისისაგან ნამხილებ სირ-
ცხვილის დასამუშავიდებლად ზემოხსენებულ ცხოველსა-
ვით გაიძახის: პარასკევია, პარასკევიაო. ხომ მიხვდით
რასაც ნიშნავს ეს პარასკევი? ვითამ ჟველაფერი
ტყუილია, სიცრუეა: რაც თვალით დასანახი და გუ-
ლის მოსაწონი არ არის, ის არ უნდა იწამოს, არ
უნდა დაიჯეროს კაცმაო. მერე? რა უნდა ესთქვათ
ამისთანა კაცზე? უნდა ვსთქვათ იგივე, რაც მთვრა-
ლზე: არ დამთვრალიყო, კარგი იყო და, რაკი დათ-
ვრა, მთვრალ კაცს რაღა მოეთხოვებაო. ამას-

თან, როცა მთვრალი კაცი უთავბოლოდ ლაპარაკს
დაიწყებს, ვიტყვით ხოლმე: ღვინო ალაპრაკებსო.

განა ვნება და გულის თქმა იგივე ღვინო არ
არის აღამიანისათვის, და თუ ამისთანა კაცს ყველა-
ფერი ტყუილად და სიცრუედ მიაჩნია, ეგ იმიტომ
რომ მას ეს ღვინო, ეს გულის თქმა ალაპარაკებს
და ალაპარაკებს იმისთვის, რომ რაც მართალი
და ჭეშმარიტია, წინაღმდეგი და მამხილებელია
იმის გულის თქმისა და ცუდის ქცევისა. თუმცა
თვითონაც არ მოსწონს თავისი ასეთი ქცევა, რად
განაც კარგად ჰქედავს, რომ კეთილს და სიმართლეს
უფრო მეტი ჰატივი და გავლენა აქვს ხალხში, მაგ-
რამ მაინც კიდევ ბოროტს მომხრეობს, იგი უყვარს
და უყვარს იმისთვის, რომ იმის ძუძუსა სწოვს,
იმის ძუძუთი სტკბება. ხშირად მოხდება, მამა გაცი-
ლებით უკეთესი, უფრო მოყვარული იყოს თავის
შვილისა ვიდრე დედა, მაგრამ შვილს მაინც უფრო
დედა უყვარს და უყვარს იმისთვის, რომ იმის
ძუძუსა სწოვს. და იმითი სტკბება. კეთილი და
ბოროტი ხომ ორივე ძუძუს მაწოებელი დედაა აღა-
მიანისათვის, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამათში
რომელიც ცრუა, მატყუარაა და მოჩვენებაა, იგი
თვითონვე გვეძებს, გვეხვეწება და გვაწვდის თავის
ძუძუსა, ხოლო რომელიც მართალი და ჭეშმარიტი
ძუძუა, იგი ჩვენ თითონ უნდა მოვნახოთ, ვიპოვ-
ნოთ და გავიხადოთ საყვარელ საზრდოდ. ამას კი

გონების თვალი უნდა და აბა ბოროტებასა და ცოდ-
ვაში გართულს კაცს განა შეუძლია გონების
თვალი აახილოს და დაინახოს ის, რის დანახვასაც
თვითონვე ერიდება და ეჯავრება! ამას მხოლოდ
ბოროტი სწამს, იმას სცემს თაყვანს, ხოლო რაც
გონებას ანათლებს და ზნეობას აკეთილშობილებს,
იმისათვის იმას არა სცალიან, უძლურია, გულს ვერ
გადაუშლის და ვერ იწამებს; და რაკი ამ სიკეთესა
და ძალას მოკლებულია, რაღა თქმა უნდა, იმას
არა სწამს არც წმიდათა ცხოვრების ისტორია,
არც სახარება და არც თვით ღმერთი. იგი ყველას
იმას უქადაგებს, რომ ყველაფერი ტყუილია, ზღა-
პარია და მოგონილია.



ცხოვრება წმ. ლირსისა დედის

ქარიძე ეგვიპტელისა

აცვა მეფის საიდუმლოისა კეთილ არს,
ხოლო ღვთის საქმის განცხადება და ალსრუ-
ლება პატიოსან და საქებელ,—ასე უთხრა
რაფიელ მთავარ-ანგელოზმა მართალს ტობიას, როცა
სასწაულით ოვალები აუხილა.— ამისათვისო, ამბობს
პატრიარქი იერუსალიმისა წმიდა სოფრონი, არ შემი-
ძლია დავიდუმო ის დიდი და საკვირველი საქმე,
რომელმაც ჩემამდე მთალწია და რომელიც შეეხება
ლრსის მარიამ ეგვიპტელსა და იმის ცხოვრებას. აი
თვით ეს ცხოვრებაც.

პალესტინის ერთს მონასტერში სცხოვრობდა
მოხუცი, სახელად ზოსიმე. ამ ზოსიმე, ისევ ყრმამ,
ცამეტი წელიწადი ფიცხელს მოღვაწეობაში განა-
ტარა. იგი იყო კეთილ-მსახური, სახელ-განთქმული
და ნიჭიერი საღმრთო მქადაგებელი. როდესაც იგი
მოხუცდა, გაიფიქრა: ნეტავი თუ სადმე მოიპოვება ისე-
თი მეუღლაბნოე, რომელმაც ჩემს მოღვაწეობაზე უმე-
ტესი ღვაწლი მაჩვენოს და ან აღმემატებოდეს სათნოე-
ბითაო. ამ დროს წარმოუდგა ანგელოზი და უთხრა:

— ზოსიმ! მართალია, შენი მოღვაწეობა დი-
ლია, მაგრამ იცოდე, ქვეყანაზე არ მოიპოვება ისე-
თი კაცი, რომ სრული იყოს ყველაფრით. არის ისე-
თი მოღვაწეობა, რომელიც შენ არ იცი, და დიდა-
თაც აღემატება შენსას. ცხონების გზანი ხომ მრა-
ვალ არიან. წალი მდინარე იორდანის მახლობლად
რო მონასტერია და იქ შეიტყობ ყველაფერს.

ზოსიმე წავიდა ანგელოზის მიერ ნაჩვენებ მონას-
ტერში, მიიღო იქაურის წინამძღვრისაგან ლოცვა-
კურთხევა და იქვე დაესადგურა.

დადგა დიდი მარხვა. ამ მონასტერში წესად
ჰქონდათ: როგორც დადგებოდა მარხვა, ყველა-
ნი ეზიარებოდნენ პირველსავე კვირიაკეს, შემდეგ
სტოვებდნენ მონასტერს, მიღიოდნენ იორდანის გა-
ღმა უღაბურსადგილებში, იფანტებოდნენ აქა-იქ და,
ერთმანეთისაგან დაშორებულნი, ლოცვასა და მარ-
ხვაში ატარებდნენ მთელს შვიდეულს. ღვთის მსა-
ხურების წესის შესასრულებლად მონასტერში რჩე-
ბოდა ერთი ან ორი ბერი; წასვლის დროს იმათ-
თან მიჰქონდათ ლელვი, ინდის ხურმა, ზოგს ესეც
არ მიჰქონდა და საზრდოებდა მხოლოდ მწვანილითა.
როცა მოახლოვდებოდა ვნების კვირა, ბრუნდებო-
დნენ ისევ მონასტერში და ერთმანეთს არას ეტყო-
დნენ იმისას, თუ ვინ რა იმოღვაწა ამ ხნის განმავ-
ლობაში. ასეთი წესი მონასტრისა დაურღვევლად
სრულდებოდა თითოეულისაგან.

ამ წესის მიხედვით ზოსიმეც გაემგზავრა ზემო-

ხსენებულ ადგილისაკენ. ერთხელ მოიწადინა მიმო-
ევლო შორი და შუაგული უდაბური ადგილები, რომ
იქ ეპოვნა ის მოლვაწე, ვისგანაც სწავლა და და-
რიგება უნდა მიეღო. ამ განხრახვით იმოგზავრა რამ-
დენიმე დღე. ბოლოს, როცა ერთ ადგილის ჩვეუ-
ლებრივს ლოცვას ასრულებდა, შენიშნა რაიმე კა-
ცის მსგავსი. ზოსიმეს შეეშინდა, ეგონა მოჩვენებააო,
მაგრამ პირს ჯვარი გადისახა და ისევ განაგრძო ლო-
ცვა. როცა ლოცვა დაასრულა, კიდევ გაიხედა იქი-
თკენ და ეხლა-კი დარწმუნდა, რომ ის ჩვენება ადა-
მიანი იყო: მეტის მზისა და სიცხისაგან დამწვარი და-
გაშავებული იყო, თავზე თეთრი თმა ჰქონდა და
ყელამდე სცემდა. ზოსიმეს ძლიერ გაეხარდა, რად-
გან დიდი ხანია არ ენახა არც ერთი სულდგმული,
და გაეშურა იმისაკენ. იმანაც, როგორც შენიშნა
ზოსიმე ჩემკენ მოდისო, მაშინვე მიფარებულ ადგილს
შიპმართა. ზოსიმეც, თითქო დაავიწყდა თავისი მო-
ხუცებულებაო, დაედევნა სწრაფის ნაბიჯით, და რო-
ცა მიუახლოვდა იმოდენად, რომ ხმის გაგონება შე-
ეძლო, შესძახა მაღლის ხმით:

— მონაო ჭეშმარიტის ლვთისაო, რისთვის გარ-
ბიხარ ჩემისთანა ცოდვილის მოხუცისაგან? სდეგინ
და მომეც შენი ლოცვა-კურთხევა.

მან უპასუპა:

— მამაო ზოსიმ! ვერ შემიძლია მოგიახლოვდე.
ხოლო თუ ინებებ, რომ მე ცოდვილმა მივიღო შე-

ნი ლოცვა-კურთხევა, პირველად მომაწოდე როგორმე რაიმე სამოსელი.

ზოსიმეს გაუკვირდა: ვინ უნდა იყოს, არ მიცნობს და სახელს-კი მეძახისო? მაშინვე გაიძრო ზემო სამოსელი, გადაუგდო და თვითონ უკანვე დაბრუნდა პირის მოსარიდებლად. განდეგილმა აიღო, ჩაიცვა ეს სამოსელი, მივიდა ზოსიმესთან და უთხრა:

— მამაო ზოსიმ, რისთვის მოსულხარ აქ ჩემისთანა ცოდვილის დედა-კაცის სანახავად?

ზოსიმემ სთხოვა ეამბნა მისთვის თავისი ვინაობა, ცხოვრება და თავვალასავალი.

განდეგილმა პასუხი არ მისცა და გაჩუმებული იდგა.

— გთხოვ, განუმეორა ზოსიმემ: მიამჶე ყოველივე და არა დამიმალო-რა. თვით ღვთის განგებამ მომიყვანა შენდა სანახავად და ღმერთს ხომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევ.

— მრცვენია, მამაო, უპასუხა მან, გიამბო ჩემი ცხოვრება და თავვალასავალი, მაგრამ აღარ დაგიფარავ და გეტუვი ყველაუერს. მხოლოდ გთხოვ, შეეველრო ღმერთს ჩემთვის, რომ შემიწყალოს და მიმილოს საშინელს განსჯის დღეს.

„მე ვარ ქრისტიანი და დავიბადე ეგვიპტეს ქვეყანაში. როცა შევიქენ თორმეტის წლისა, დედმამისავე სიცოცხლეში დავსტოვე სამშობლო და წავედი ალექსანდრიაში. აქ პირველად დავკარგე

ჩემი ქალწულება და მივყევ უზნეო ცხოვრებას. ჩვიდმეტი წელიწადი ვემონებოდი ჩემს ხორციელს გულის-თქმას ისე, რომ მთელმა ალექსანდრიამ იკოდა ჩემი ამბავი და მიცნობდნენ, როგორც ავის ზნისა და ცუდის ყოფა-ქცევის დედაკაცს. ვსცხოვრებდი ასე იმიტომ-კი არა, რომ ფულს ვეხარბებოდი. ფულს მე არ ვლებულობდი, ბევრჯელ ვყოფილვარ გაჭირვებაში და ხშირად ჩემ ხელთ-საქმეზე მშიერი ვმჯდარვარ. მე მინდოდა მხოლოდ ჩემი გაუმაძლარი გულის-თქმა დამეკმაყოფილებინა და ამიტომ იმასა ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა მეტი ახალგაზღობა მომეზიდა. მე უცედურს ასე მეგონა, რომ ადამიანის ბედნიერება მარტო ამისთანა ხორციელს ცხოვრებაში მდგომარეობდა.

„ვატარებდი რა ამ გვარს ცხოვრებას, ერთხელ დავინახე ზლვისაკენ მიმავალი ლივიანელი და ეგვიპტელი ხალხი. ვკითხე ერთს მგზავრთაგანს და მითხრა: ესენი იერუსალიმში მიემგზავრებიან ჯვართ-ამაღლების დღესასწაულზე დასასწრებლადაო. მეც არ წამიყვანენ-მეთქი? — ვკითხე. იმან მიპასუხა, თუ ფული და საზრდო გაქვს, წასვლას არავინ დაგიშლისო.

„ფული და საზრდო არა მაქვს, მაგრამ შემიძლია დავუმეგობრდე რომელსამე ხომალდში მყოფ-თაგანს და ის შემინახავს-მეთქი.

„ამ გვარად გადავსწყვიტე იერუსალიმს წას-ვლა, მხოლოდ იმიტომ-კი არა, რომ დღესასწაულს დავსწრებოდი, არამედ ჩემის გულის თქმისა და ავ-

ხორციანობის დასაკმაყოფილებლად... ოჯ, მამაო ზოსიმ, წელანაც გითხარი, რომ ნუ მაიძულებ-მეთქი გიამბო ჩემი სირცხვილი. მეშინიან, რომ ჩემს საქ-ციელზე ლაპარაკმა ჰაერიც-კი არ შემწიკვლოს”...

ზოსიმე არ ეშვებოდა და სთხოვდა სიტყვა ბო-ლომდე დაესრულებინა.

განდეგილმა ისევ განაგრძო სიტყვა:

— ვუთხარი თუ არა იმ მგზავრს ასეთი ურცხვი სიტყვები, გაეცინა და მაშინვე მომშორდა. მე-კი დავა-გდე ჩემი ხელთ-საჭმე და გავეშურე ზღვისაკენ. ზღვის პირს რო მივუახლოვდი, იქ დავინახე ათამდე ყმაწ-ვილი კაცი, თამამად ჩავერიე მათ შორის, შევყევ ხომალდში და ვსთხოვე: „წამიყვანეთ მეც-მეთქი და თან უთხარი რამდენიმე ურცხვი სიტყვებიც. ყველას გაეცინა დამთანხმდნენ წაყვანას. ხომალდი აუშვეს და გავსწიეთ იერუსალიმისაკენ. რა მოხდა ამ მგზა-რობის დროს, ამას რა ენა გამოსთქვამს, ან რა სმენა აიტანს. ვინ მოსთვლის, მე უბადრუკმა რამდენი შევაცდინე, ისეთნიც-კი, რომელნიც სრულიადაც არ ფიქრობდნენ ასეთის ცოდვის ჩადენას. არა თუ თქმა, წარმოდგენაც-კი ძნელია ყველა იმისი, რა უწმინდურებაც მე ჩავიდინე. მიკვირს, ზღვამ როგორ აიტანა ამდენი ჩემი უსჯულოება, მიწა რატომ არ გამისკდა და ჯოჯოხეთმა ცოცხლივ არ ჩამნთქა. მა-გრამ ღმერთი, რომელსაც არ უნდა სიკვდილი ცო-დვილთა, არამედ სულგრძელებით მოელის მისგან სინანულსა, მოელოდა ჩემს მოქცევასაც.

„ჯერ დღესასწაული არ დამდგარიყო, რომ
იერუსალიმში მივედით. მისვლისას თანამოგზაურთ
გარდა, იქაც მრავალი გავიცანი და ვსცხოვრობდი
ჩვეულებრივ ბიწიერად.

„დღესასწაულიც დადგა. დილა აღრიან ავ-
დეჭი და დავიწყე ქუჩა-ქუჩა სიარული სხვა-და-სხვა
ცუდის ფიქრით. ვნახე, რომ ყველანი ეკლესიისაკენ
მიეშურებოდნენ და მეც წავედი. მივედი ეკკლე-
სიასთან და გავჩერდი შესავალს კარებთან. მოატანა
დრომ, როცა ცხოველს მყოფელი ჯვარი უნდა აე-
მალლებიათ; ყველანი ეშურებოდნენ ეკლესიაში შე-
სვლას, მეც მოვინდომე შესვლა, მაგრამ შევსდგი თუ
არა ტაძრის კარებში ფეხი, რაღაც უხილავმა და
საიდუმლო ძალამ უკანვე გამომტყორცა. კიდევ
მოვინდომე შესვლა და კიდევ ასე მომივიდა. ასე
რამდენჯერმე მოვინდომე შესვლა, მაგრამ ამაოდ—
უხილავი ძალა არ მიშვებდა. სხვანი კი ყველანი
თავისუფლად შედიოდნენ.

„სირცხვილეული და იმედ-გადაწყვეტილი მოვ-
შორდი კიბეს და მიშენებულ კამარის კუთხეში დავ-
დეჭი. დიდხანს ვიდეჭი იქ განცვიფრებული. დასასრულ
გონებაზე მოვედი და ვფიქრობდი: რა მიზეზია, რომ
ეკლესიაში ვერ შევსულვარ-მეთქი. ამ ფიქრზე ცხა-
დად წარმომიდგა ჩემი წარსული ცხოვრება, ვიგრძენ
საშინელი სიმძიმე ცოდვისა და ამასთან ისეთი სინანუ-
ლი აღმეძრა, რომ სულ ერთიანად შემერყა გული და
სული. ვიწყე ტირილი, ოხვრა და მკერდზე ცემა. ამ

დროს უცებ თვალი ავახილე და დავინახე კედელზე
ჩამოკიდებული ღვთის-მშობლის ხატი. ძრწოლითა
და სასოებით მივმართე და შევლალადე: „ოჰ, ქალ-
წულო მარიამ! ვიცი, რომ არა ვარ ღირსი ვიხილო
შენი წმიდა სახე, მაგრამ გამიგია, რომ შენგან შობილი
მაცხოვარი სოფლისა იმისათვის მოსულა ქვეყანაზედ,
რომ მოუწოდოს ცოდვილთა სინანულად. შემეტიე
მეცა ცოდვილსა, რომელსაც არავინ მივის შემწე
და მომხმარე. მომეცი ნება, რომ მეც შევიდე ეკლე-
სიაში და ვიხილო ის ცხოველს მყოფელი ჯვარი, რო-
მელზედაც დაემსჭვალა და სისხლი დასთხია სოფლის
გამოხსნისათვის შენგან შობილმან ღმერთმან. ბრძანე,
დედაო ღვთისაო, რათა მეც, ულირსსა, განმელოს
ბჭენი ტაძრისანი, რომ თაყვანი-ვსცე ქრისტეს ჯვარსა;
ამასთან იყავ ჩემი თავდები შენგან შობილის წინაშე,
რომ ამიერიდგან აღარ შევაგინებ ჩემს სულსა და
ხორცსა მრუშებითა, არამედ, ველირსები თუ არა ნახ-
ვას ცხოველს მყოფელს ჯვარისას, მაშინვე დავუტევებ
სოფელსა და ყოველსავე სოფლიურსა და წავალ იქ,
სადაც შენ გენებება.

„შევევედრე ამ სახით თუ არა, მაშინვე მივიღე
საიდუმლოებრივი ნება-რთვა, აღვეგზე სარწმუნო-
ებითა და სასოებითა ღვთის-მშობლის მოწყალება-
ზედ და დავიძარ აღგილიდამ ეკკლესიაში შესასვ-
ლელად. როგორც მივატანე ეკკლესიის კარებს,
საშინელმა შიშმა და კანკალმა ავიტანა, თუმცა წინ
წასვლას-კი აღარა მიშლიდა-რა. დასასრულ ველირსე

ეკლესიაში შესვლას და მთხვევას ცხოველს მყოფელის ჯვარისას. აქ ვიგრძენ ნამდვილი ღვთის მოწყალება, ვიგრძენ, რამდენად მოწყალეა ღმერთი და როგორ მზად არის ყოველთვის მიიღოს ყველა მონანული.

„ჯვარის მთხვევის შემდეგ უწინდელსავე ალაგას მივედი, სიხარულით აღვსებული დავვარდი ღვთის-მშობლის ხატის წინაშე და შევლალადე: მარადის ნეტარო, ქალწულო და დედაო ღვთისაო! შენ დიდი კაცთ მოყვარეობა გამოიჩინე ჩემდა მომართ. მე ვიხილე ისეთი დიდება, რომლის ნახვის ღირსი სრულიად არ ვიყავი. გარნა დიდება ღვთის მოწყალებას, რომ შენის შუამდგომლობით შეიწყნარებს ყველა ცოდვილის სინანულს. ეხლა დროა, დედოფალო, შევასრულო ის, რაც შეგპირდი და რაც აღგითქვი. იყავ ჩემი მწე და ხელმძღვანელი სინანულის გზაზედ..“

„როგორც გავათავე ეს სიტყვა, თითქო შორიდამ ხმა მომესმა:

— „თუ წარვალ იორდანის გაღმა მხარეს, იქნახავ განსასვენებელსაო.“

ეს ხმა რო გავიგონე, ხელ-ახლად მივაპყარ თვალი ღვთის-მშობლის ხატს და შევევედრე: „ღვთის-მშობელო დედაო! ნუ დამიტევებ მე“. ამ სიტყვებით გამოვედი იქიდამ და დავადეგ გზას. გზაზე შემხვდა ვიღაცა, მომაწოდა სამი დრაჟან. ფული და მითხრა: „მიიღე ესა, დედაო“! ამითი ვიყიდე

სამი მომცრო პური, იქვე ვიკითხე იორდანისაკენ
მიმავალი გზა და, როცა მაჩვენეს, ოვალ-ცრემლიანი
გავეშურე იქითკენ. ვიარე მთელი დღე კითხვა-კით-
ხვით და ბოლოს მივედი იორდანის მახლობლად
მყოფ იოანე ნათლის მცემლის ეკკლესიასთან. აქ
ვილოცე, მერე წავედი იორდანეზედ, დავიბანე ხელ-
პირი და ისევ დავბრუნდი ეკკლესიაში. აქ ვეზიარე,
შემდეგ მივიღე მცირე საზრდო, იორდანის წყალი
დავლიე და ის ლაძე გავათრე მშრალს დედამიწაზე;
მეორე დღეს, დილით, ვნახე პატარა ნავი და გავე-
ლი იორდანის გაღმა მხარეს. აქ შევევედრე კიდევ
ლვთის-მშობელს და ვსთხოვე მივეყვანე იქ, საცა იმი-
სი ნება იყო. მას აქეთია ვსცხოვრობ აქ ლვთის მო-
წყალებასა და შემწეობაზე დაიმედებული.

— რამდენი წელიწადია, რაც აქ იმყოფები? —
ჰკითხა ზოსიმემ.

— ორმოცი წელიწადია, — უპასუხა მან: — იმ
დღიდამ, რაც იერუსალიმიდამ გამოვედი.

— საზრდოდ რას ჰემარობ?

— იმ პურიდამ, რომელიც იერუსალიმში ვიყი-
დე, თან გამომყვა ორ პურ-ნახევარი. ამ პურით
გავიტანე თავი რამდენიმე წელიწადი; როცა ეს შე-
მომელია, მწვანილი ვიხმარე საზრდოდ.

— ნუ თუ ამ ხნის განმავლობაში არავითარი
განსაკლელი არ შეგემთხვა ისეთი, რომ ძალა დაე-
ტანებინა შენთვის და თავი დაგენებებინა აქაურობი-
სათვის?

— ოხ, მამაო ზოსიმე! შენ ეხლა იმისთანა რასმე მეკითხები, რომლის მოგონება თავსზარსა მცემს; რო მოვიგონო ყველა ის განსაკუდელი, რაც აქ გამოვიარე, მეშინიან, ამ მოგონებაზე ისევ არ გან-მიახლდეს ეს განსაკუდელი.

— სოქვი ყოველივე და ნურაფერს დამიმალავ,
— სოხოვა ზოსიმემ.

— ლიაღ, მამაო ზოსიმე,—პირველს ჩვიდმეტს წელიწადს განუწყვეტელი ბრძოლა მქონდა ჩემს ხორციელს ვნებასა და გულის-თქმასთან. როცა სა-ჭმლის ჭამას დავიწყებდი, მომინდებოდა ხორცი და თევზი და საშინლად მომენატრებოდა ლვა-ნო. აქ-კი წყალის ნაკლულევანებასაც ვიტანდი. ხან-და ხან ფიქრად მომივიდოდა და მომესურვებოდა მე-მლერნა ცუდი და მაცდური სიმღერა-ლექსები, მაგ-რამ ამ დროს ვიწყებდი ტირილსა, ოხვრასა და მკე-რდზე ცემას. ფიქრითა და გონებით მივმართავდი იერუსალიმის ლვთის-მშობლის ხატს, მოვიგონებდი იმ პირობას, რომელიც იქ წამოსვლის დროს ალვუ-თქვი, ვსოხოვდი შველასა და განთავისუფლებას ამ განსაკლელისაგან და მხოლოდ ამის შემდეგ მოეფი-ნებოდა ჩემს სულს სხივი ლვთის მაღლისა და განუსა-ზღვრელს ნეტარებას ვიგრძნობდი. აი, ამ ბრძოლაში გადატარე ჩვიდმეტი წელიწადი. ტანისამოსი, რომე-ლიც აქ მომყვა, სულ ერთიანად შემომეძარცვა და ამის გამო ხან მეტი სიცივე მაწუხებდა და ხან სიც-ხე. ამ ხნის შემდეგ-კი ლმერთმა განმამტკიცა თვი-

სის მაღლითა, იგი მფარველობს ჩემს ცოდვილს სულს და დამშვიდებულსა და დაწყნარებულს სხეულს იცავს ყოველ გვარის ცოდვისა და ხორციელის საჭიროებისაგან. ვსაზრდოებ და ვიფარვი სიტყვითა ღმრთისათა, რომელიც შეიცავს თვის შორის ყოველსავე, ამისათვის, რომ არა მარტო პურითა სცხონდების კაცი (მათ. 4., 4). შიშველთა მრავალთა დაიძინეს თვინიერ სამოსლისა, ხოლო სამოსელი სულთა მიუღიეს. წვეთითა მთათა დასველდენ, ვინათგან არა აქვნდათ საფარველი, ქვათა შინა შეიმოსდენ (იობი, თავ. 24. მუხ. 8 და 9).

— განა საღმრთო წერილიც გისწავლია? —
ჰკითხა ზოსიმემ.

განდეგილმა ამ კითხვაზე კრძალვით გაილიმა და უპასუხა:

— არც საღმრთო წერილი მისწავლია და არც წიგნი, გარნა ცხოველი და ჭეშმარიტი სიტყვა ღვთისა განსწავლის გონებასა კაცისასა.

გაოცებული ზოსიმე აღიდებდა განგებულებასა ღვთისასა, უნდოდა დავარდნილიყო და თაყვანი ეცა განდეგილისათვის, მაგრამ იმან შეაჩერა და უთხრა: მამაო, გაფიცებ ღმერთსა და მაცხოვარსა ჩენსა იქსო ქრისტესა, რომ არავის უთხრა ეგ ამბავი, სანამ არ წამიყვანს ღმერთი ამ ქვეყნით. ეხლა წადი მშვიდობით და კიდევ მნახე მომავალს ზაფხულს. ამასთან, გევედრები, ღვთის გულისათვის, შემისრულო ეს თხოვნა: მომავალის მარხვის დიდს ხუთშაბათს

წამომიღე ქრისტეს ცხოველს მყოფელი სისხლი და ხორცი და მომიტანე სოფლის მახლობლად მდებარე, იორდანის კიდეზედ; მე მოვალ იქ და მივიღებ წმი- და საიდუმლოს. მას შემდეგ, რაც ითანებ: ნათლის- მცემლის ეკულესიაში ვეზიარე, ალარ მიმილია წმი- და საიდულო და ეხლა ძლიერი სურვილი მაქვს იმი- სი მიღებისა.

შემდეგ გამოეთხოვნენ ერთმანეთს და განშორ- დნენ. ზოსიმე დაბრუნდა მონასტერში და არავის- თვის არ უთქვამს ნანახი ამბავი.

დადგა მეორე დიღ-მარხვა. ზიარების შემდეგ ყველანი წავიდ-წამოვიღნენ. ზოსიმე დარჩა მონას- ტერში და ცოტა ავადაც შეიქმნა. როცა გათენდა დიღი ხუთშაბათი, ზოსიმე მორჩა ავადმყოფობისაგან და, როგორც ნათქვამი ჰქონდა, იმავე დღესვე, სალა- მოს ჟამს, წავიდა დანიშნულ ალაგას. დიღ ხანს ელო- და იქ და ამასზან სწუხდა კიდეც, რომ ნავი არსადა სჩანდა, რომლითაც შესძლებოდა განდევილს გამო- ლმა გამოსლვა. ამ დროს გამოჩნდა კიდეც განდევი- ლი, მოადგა იორდანის ნაპირს, გადასახა ჯვარი და, როგორც ხმელეთზე, იწყო ზედ გამოსვლა. ზოსიმე ალივსო გამოუთქმელის სიხარულით ამ საკვირველე- ბის დანახვაზე და უნდოდა თაყვანი ეცა იმი- სათვის, მაგრამ მდინარეზე მომავალმა განდევილმა ხმა მაღლად უთხრა:

— მამაო ზოსიმ! რათა იქმ მაგას! არ იცი, რომ წმიდა საიდუმლო გაქვს თანა?!

ზოსიმე ამ სიტყვებზე შეჩერდა. განდეგილი მი-
ვიდა ზოსიმესთან და ცრემლ-მორეული უთხრა:

— მაკურთხე, მამაო!

გაოცებულმა და გაკვირვებულმა ზოსიმე
შიშითა და ძრწოლით წამოიძახა:

— ჰეშმარიტად დიდ არს ღმერთი. დიდება შენ-
და, ქრისტე ღმერთო ჩვენო, რომელმაც ასეთის
შენის მხევალის ჩვენებით დამანახვე, თუ რამდენად
შორსა ვარ სისრულისაგან.

განდეგილმა სთხოვა ზოსიმეს, წაიკითხე სიმვო-
ლო სარწმუნოებისა და ლოცვა უფლისაო, და რო-
ცა ეს შეუსრულა ზოსიმემ განდეგილმა მიიღო წმი-
და საიდუმლო, შემდეგ ალიპყრო ხელი ცისაკენ და
წარსთვება ეს ღვთის მიმრქმელის სიმონ მართალის
ლოცვა: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტ-
ყვისაებრ შენისა, მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალ-
თა ჩემთა მაცხოვარება შენი“.

შემდეგ მიუბრუნდა მოხუცს და უთხრა:

— მამაო ზოსიმ! გევედრები ერთი თხოვნა კი-
დევ შემისრულე: წადი ეხლა მშვიდობით მონას-
ტერში და მომავალს წელს კიდევ მოდი იქ, საცა
პირველად მჩახე. თვით ღვთის ნებაა, რომ ასე მო-
იქცე. ილოცე მარალის ჩემთვის, ზოსიმემაც სთხოვა,
რომ შენც ევედრე ღმერთს ჩემთვისაო. შემდეგ გან-
დეგილმა გადასახა ჯვარი მდინარეს და გავიდა გალმა
ისევე, როგორც გამოვიდა. ზოსიმე გაოცებული და
გახარებული დაბრუნდა მონასტერში და მხოლოდ

ასა სწყინდა, რატომ სახელი არა ვჰკითხეო, თუმცა-კი უნდა ენახა მაინც ხელმეორედ.

გავიდა წელიწადი. ზოსიმე დიდმარხვის პირველ-სავე კვირას ეზიარა და წავიდა განდეგილის სანახა-ვად, მაგრამ იგი გარდაცვლილი დახვდა. გულ-ხელ დაკრეფილი და მის მიერ მიცემულ სამოსელ-გადა-ფარგბული ესვენა დედამიწაზედ. ზოსიმემ დიდხანს უტირა. თან არ იცოდა, რა ექმნა. არ იცოდა რა იყო ანსვენებულის სურვილი: ისევ ისე დაეტოვებია, თუ დაემარხა. ამ ფიქრში ოთხ იყო, შენიშნა მიცვალე-ბულის თავთან შემდეგი წარწერა: „მაშაო ზოსიმე! მიაბარე მიწას აქვე გვამი მდაბალის მარიამისა და ლოცვა ჰყავ ჩემთვის. გარდავიცვალე პირველს აპ-რილს, ვარასკევს, მაცხოვრის ჯვარ-ცმის დღეს, იმ დღეს, რა დღესაც შენგან წმიდა საიდუმლო მივიღე“. ზოსიმეს გაუკვირდა, რადგან განდეგილმა წერა არ იცოდა, როგორც თვით იმისგანვე ჰქონდა ნათქვა-მი; ამასთან გაუხარდა, რომ გაიგო იმისი სახელი და გარდაცვალების დღე. იქვე ხე ეგდო და ზოსიმემ დაუწყო საფლავს თხრა, მაგრამ ვერას გზით ვერ შესძლო იმისი ამოთხრა, რადგან მიწა, სიცხის გა-მო, ძლიერ გამხმარიყო. როცა დაიღალა, ამ დროს აიხედა და დაინახა მიცვალებულთან ლომი. ზოსი-მეს ძლიერ შეეშინდა, ლომი-კი წყნარად და მშვი-დად მივიდა მასთან და დაიწყო კლანჭებით საფლა-ვის ამოთხრა. როცა დაასრულა ლომმა საფლავის თხრა, ცრემლ მორეულმა ზოსიმემ წარმოსთქვა შე-

საფერი გალობა, მიაბარა მიწას მიცვალებული და
ლმობიერი დაბრუნდა მონასტერში.

ლირსი მარიამი სცხოვრობდა რომის მეფის იუ-
სტინიანის დიდის მეფობის დროს. გარდაიცვალა 521
წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ. მალე მიაცვალა
ზოსიმეც. ლირსის მარიამის ცხოვრება აღწერა
ერუსალიმის პატრიარქმა წმიდა სოფრონმა.

ტრპარი, ხეა 3.

შენ შორის საკვირველო დედაო, კეთილად დაცულ
იქნია ხატება, რამეთუ აღიარე ჯვარი და შეუდებ ქრის-
ტესა, და მოქმედი ასწავებდი შეურაცხუოთასა ხორც-
თასა, ვითარცა წარმავალსა, ხოლო დვწასა სულისასა,
ვითარცა უკვდავისა არსებისასა, რომლითთვისცა ანგე-
ლოსთა თანა იხარებს სული შენი; ნეტართ მარიამ.

კონდაკი ხეა 3.

მეძავობათა შეერ პირველ აღსავსე. მრავალ სახეთა,
სძლად წმიდად ქრისტესა დღეს სინანულითა შეწენარე-
ბულ იქნია, ანგელოსთა მოქალაქობითა მიმსგავსებული,
ეშმაკთა ჯვარისა საჭურველითა უჩინო ჰერთს, ამისთვის
მეუფისა გამოსჩნდა სძლად მარიამ დიდებული.

